მოცემული პუბლიკაცია მიმოიხილავს მეცხოველეობის ინდუსტრიაში არსებული პროდუქტების საბაზრო ფასების დინამიკას 2022 წლის **აპრილის** თვის განმავლობაში, თბილისისა და საქართველოს 10 რეგიონის ადმინისტრაციული ცენტრების მასშტაბით. ეტიკეტირებულ პროდუქტებზე დაკვირვება პროექტის ფარგლებში შერჩეულ ქსელური მარკეტების ფილიალებსა და ადგილობრივ, არაქსელურ მარკეტებში ხორციელდება, ხოლო არაეტიკეტირებულ პროდუქტებზე დაკვირვება - აგრარულ ბაზრებში. პუბლიკაციაში ასახული ფასები მოცემულია ეროვნულ ვალუტაში.

საშუალო ფასების გამოანგარიშებისას გამოყენებულია საშუალო შეწონილი მეთოდი.

## აპრილის თვე / 2022

ეტიკეტირებულ ყველზე ფასები მარტთან შედარებით აპრილში მცირედით გაიზარდა. კერძოდ კი, ფასები სულგუნსა და იმერულ ყველზე 2.4% და 1.5%-ით გაიზარდა, ხოლო ქარხნული ყველი 0.3%-ით გაიაფდა.

### ეტიკეტირებული ყველის ფასები სუპერმარკეტებში




## აპრილის თვე / 2022

### არაეტიკეტირებული ყველის ფასები აგრარულ ბაზარში




განსხვავებით ეტიკეტირებული ყველისა, აგრარულ ბაზარზე სულგუნი და იმერული ყველი 4.7% და 2.5%-ით გაიაფდა, ხოლო ქარხნული ყველის ფასი კი საშუალოდ უცვლელი დარჩა.

აღსანიშნავია რომ ფასები საგრძნობლად მაღალია წინა წლის ნიშნულთან შედარებით, შესაბამისად, მოსალოდნელია ფასის დასტაბილურების ტრენდის გაგრძელება.

## აპრილის თვე / 2022

ეტიკეტირებულ მაწონზე საშუალო ფასი კვლავ მაღალი რჩება, თუმცა ფასთა სხვაობა რეგიონებს შორის შესამჩნევი ხდება. აღმოსავლეთ რეგიონებში მაწვნის ფასი მკვეთრად აღემატება დასავლეთ რეგიონებში არსებულ მაწვნის ფასებს, ყველაზე მაღალი ფასი კი დედაქალაქში დაფიქსირდა.

### ეტიკეტირებული მაწვნის მაქსიმალური, საშუალო და მინიმალური ფასი



## აპრილის თვე / 2022

აგრარულ ბაზარზე **საქონლის ხორცის ფასი სტაბილურია,** ხოლო **ეტიკეტირებულზე** არასტაბილური. ქსელური მარკეტების არასეზონური ფასებიდან გამომდინარე, **არაეტიკეტირებულ და ეტიკეტირებულ** ფასებს შორის სხვაობა მომდევნო თვეებში ზრდას გააგრძელებს.

### ეტიკეტირებული

| | | |
|---|---|---|
| საქონლის არტალა | 1.0 % ↗ | 11.8 ₾ |
| საქონლის ძვლიანი | 4.7 % ↗ | 20.5 ₾ |
| საქონლის რბილი | 9.4 % ↗ | 24.5 ₾ |
| ხბოს ძვლიანი | 0.0 % ≈ | 18.0 ₾ |
| ხბოს რბილი | -4.2 % ↘ | 27.8 ₾ |

### არაეტიკეტირებული

| | | |
|---|---|---|
| საქონლის არტალა | 2.2 % ↗ | 10.4 ₾ |
| საქონლის ძვლიანი | -2.3 % ↘ | 16.8 ₾ |
| საქონლის რბილი | -0.9 % ↘ | 19.7 ₾ |
| ხბოს ძვლიანი | 0.1 % ↗ | 19.0 ₾ |
| ხბოს რბილი | 0.8 % ↗ | 20.0 ₾ |

## აპრილის თვე / 2022

აპრილში ნედლი რძის ფასმა **2.6 %-ით** მოიმატა. იმის გათვალისწინებით, რომ აპრილი ნედლი რძის ფასის შემცირებით გამოირჩევა, 2.6 %-იანი ზრდა საკმაოდ **მაღალია.**

ფასის ზრდა შეინიშნება ყველა რეგიონში **გარდა ქვემო ქართლისა,** სადაც ნედლი რძის საშუალო ფასი **1.28 %-ით** შემცირდა.

**1 ლ. ნედლი რძის** საშუალო სარეალიზაციო ფასები რეგიონების მიხედვით




## აპრილის თვე / 2022

აპრილში, **საქონლის საკვების 2021 წლის რეზერვები იწურება,** რაც ფასებზე უარყოფითად ისახება. მაგალითისთვის, ხორბლის საშუალო ფასი **19%-ით,** ხოლო ქერის **18%-ით** გაიზარდა. ზაფხულში, საქონლის საკვების მოსალოდნელი მარაგების გათვალისწინებით, ფასები მკვეთრად უნდა შემცირდეს.

| | | |
|---|---|---|
| სილოსი | ამოიწურა | ამოიწურა |
| თივა | 0.82 ₾ | 9 % ↗ |
| იონჯა | ამოიწურა | ამოიწურა |
| ქერი | 1.16 ₾ | 18 % ↗ |
| სიმინდი | 1.12 ₾ | 15 % ↗ |
| ხორბალი | 1.27 ₾ | 19 % ↗ |
| სოიოს შროტი | 2.95 ₾ | 7 % ↗ |
| მზესუმზირის შროტი | 1.94 ₾ | 13 % ↗ |
| ქატო | 0.9 ₾ | 6 % ↗ |
| ცხოველის მზა საკვები | 1.65 ₾ | 0 % ↗ |



ფასების მონიტორინგი ხდება აშშ-ის სოფლის მეურნეობის დეპარტამენტის (USDA) მიერ დაფინანსებული პროექტის „ინვესტირება უვნებელ და ხარისხიან მესაქონლეობაში" ფარგლებში, რომელსაც ახორციელებს Land O'Lakes Venture37 საქართველოს ფერმერთა ასოციაციასთან პარტნიორობით.